



არის თუ არა თქვენი საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციები რისკიან მხარეს ?


საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შესახებ ქართული კანონმდებლობის მიზანია, უზრუნველყოს ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის კონტროლირებული ოპერაციების გაშლილი ხელის პრინციპის შესაბამისად შესრულება. გაშლილი ხელის პრინციპი გულისხმობს ტრანზაქციის ისეთ პირობებს, რომელიც იქნებოდა განსაზღვრული ანალოგიურ პირობებში დამოუკიდებელ პირებს შორის.

რისკის ცნება ისეთ ბიზნეს ფაქტორებს გულისხმობს, რომელიც კომპანიისთვის რაიმე დანაკარგის ან ზიანის შესაძლებლობას ქმნის. აღნიშნული შესაძლებელია გამოიხატოს ფინანსური დანაკარგის ან თუნდაც კომპანიის რეპუტაციის ზიანის სახით. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სატრანსფერო ფასწარმოქმნის სახელმძღვანელოს ("OECD სახელმძღვანელო") მიხედვით რისკი განისაზღვრება როგორც გაურკვევლობის ეფექტი, რომელიც თან ახლავს ბიზნესის წარმოებას. კომპანიის თითოეულ ეკონომიკურ აქტივობას, მაგ: ქმედებებს ახალი შესაძლებლობის აღმოჩენისთვის, ნებისმიერი მიზნით თანხის გაღებას ან შემოსავლის გამომუშავებას თან ახლავს „გაურკვევლობა“, რაც რისკის გაწევას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, რისკის ფაქტორი რელევანტურია ნებისმიერი ტრანზაქციის დროს, განურჩევლად იმისა დამოუკიდებელ პირებთანაა იგი დადებული თუ ურთიერთდამოკიდებულთან.

ზოგადად, თავისუფალი ბაზრის პირობებში, კომპანიის მიერ მნიშვნელოვანი რისკების გაწევა კომპენსირდება შესაბამისად გაზრდილი მოსალოდნელი შემოსავლით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაც უფრო მაღალია რისკები, მით უფრო იზრდება მოსალოდნელი შემოსავალი. თუმცა, აღნიშნული პრინციპი უფრო რთულდება, როდესაც საქმე ეხება ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის ოპერაციას. ეს ფაქტი გამოწვეულია იმით, რომ ურთიერთდამოკიდებულმა პირებმა შესაძლოა კონტროლირებული ოპერაციის თანმდევი რისკები ხელოვნურად გადაანაწილონ შესაბამისი ანაზღაურების გათვალისწინების გარეშე. გაშლილი ხელის პრინციპის გადმოსახედიდან, ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის რისკების გადანაწილება უნდა იყოს გარიგების ეკონომიკური შემადგენლობის თანმდევი. ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის რისკების რეალური გადანაწილების განსაზღვრისთვის, საუკეთესო მტკიცებულებად ჩაითვლება მხარეთა ქცევა. გაშლილი ხელის პრინციპის დეტალური მიმოხილვისთვის შეგიძლიათ იხილოთ PwC საქართველოს სატრანსფერო ფასწარმოქმნის საინფორმაციო ბიულეტენის პირველი გამოცემა.

პრაქტიკაში არსებობს მრავალი რისკი, რომელსაც გავლენა აქვს ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის არსებულ გარიგებაზე. ასეთი რისკებია მაგალითად ბაზრის რისკი; დანაკარგის რისკი, რომელიც დაკავშირებულია ინვესტიციებთან, საკუთრების, დანადგარის გამოყენებასთან; სამეცნიერო-კვლევით ინვესტიციასთან დაკავშირებული რისკი; ფინანსური რისკები, რომელიც გამოწვეულია ვალუტის კურსისა და პროცენტის განაკვეთის ცვალებადობით და ა.შ.

ქვემოთ ვრცლად მიმოვიხილავთ იმ რისკებს, რომლებსაც ხშირად ვხვდებით ქართულ პრაქტიკაში.



გვერდი 2

ბაზრის რისკი

ბაზრის რისკი წარმოიშობა, როდესაც ბაზარზე პირობა-გარემოებების ცვლილება იწვევს არახელსაყრელ ვაჭრობას, ან როდესაც საწარმოს არ შეუძლია ბაზრის განვითარება ან პროდუქტის პოზიციონირება სამიზნე მომხმარებლებისათვის. ეს რისკი ეხება ბაზარზე არსებულ ნებისმიერ მოვლენას, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიაზე. მაგალითად: ბაზარზე არსებული პირობების შეცვლის შედეგად პროდუქტის ფასის ცვლილება. მსგავსი მოვლენები შეიძლება გამოწვეულ იყოს პოლიტიკური ან ეკონომიკური ცვლილებებით რომლებიც გავლენას ახდენენ სპეციფიკური მომსახურების ან პროდუქტის მოთხოვნაზე, რაც თავის მხრივ შესაძლოა უარყოფითად აისახოს პროდუქტის ფასზე.

მომხმარებლის საკრედიტო რისკი

როდესაც, კომპანია მომხმარებელს პროდუქტს ან მომსახურებას აწვდის წინასწარი ანაზღაურების გარეშე, კომპანია დგება რისკის წინაშე, რომ მომხმარებელი ვერ შეძლებს ან დააგვიანებს საფასურის გადახდას. ეს რისკი ცნობილია როგორც მომხმარებლის საკრედიტო რისკი.

ამ რისკის ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა, როდესაც კომპანია პროდუქტს ან მომსახურებას აწვდის მომხმარებელს, ხოლო ანგარიშსწორებისთვის უსაზღვრავს 90 დღეს. ამ სიტუაციაში, კომპანია იღებს რისკს, რომ მომხმარებელი ან ვერ გადაიხდის, ან გადაიხდის დაგვიანებით. ამ რისკმა შესაძლოა გამოიწვიოს ფულადი საშუალებების მოძრაობის შეჩერება, აგრეთვე დანაკლისები უიმედო ვალის ჩამოწერის გამო.


ვალუტის გაცვლის კურსის რისკი

ვალუტის გაცვლის კურსის რისკი დაკავშირებულია ვალუტის გაცვლის კურსის პოტენციურ ცვალებადობასთან. აღნიშნული რისკი რელევანტურია მაშინ, როდესაც ვალუტა რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს და ვალუტა რომელშიც დენომინირებულია ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის კონტროლირებული ოპერაცია - ერთმანეთისგან განსხვავებულია.

საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციის დროს, ვალუტის კურსის ცვლილება მულტინაციონალური კომპანიების თანდაყოლილ რისკად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან დიდი ალბათობით კონტროლირებული ოპერაციის ვალუტა განსხვავებული იქნება იმ ვალუტისგან რომელშიც ადგილობრივი კომპანია ოპერირებს.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი განსაზღვრულია როგორც პირდაპირი ან არაპირდაპირი დანაკარგის რისკი. აღნიშნული რისკი გულისხმობს ინფორმაციული სისტემების ჩავარდნის, შიდა კონტროლის დარღვევის, თაღლითობის, მოულოდნელი კატასტროფის ან სხვა საოპერაციო პრობლემების შესაძლებლობებს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს გაუთვალისწინებელი დანაკარგები. საოპერაციო რისკისგან გამომდინარე დანაკარგები მოიცავს შემოსავლის ფაქტობრივ დანაკარგს, აგრეთვე დამატებითი და ალტერნატიული შემოსავლის გამომუშავების შესაძლებლობის დანაკარგს.



გვერდი 3

რომელი რისკებია აქტუალური თქვენი ქართულ კომპანიისთვის ?

როდესაც შემოსავლების სამსახური დაიწყებს თქვენი კომპანიის საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციების შემოწმებას, საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებთან დაკავშირებული რისკები წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს რომელსაც საგადასახადო ორგანო პოტენციურად შეისწავლის. ამ მიზნით, საწყის ეტაპზე შემოსავლების სამსახური გაეცნობა საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებას როგორც, მხარეებს შორის რისკების გადანაწილების ბაზისს. აქედან გამომდინარე, კომპანიებისთვის სასარგებლოა გააფორმონ ხელშეკრულებები, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ის რისკები, რასაც საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციის ფარგლებში გასწევს ურთიერთდამოკიდებული პირები. მართალია, რომ კომპანიებისთვის სასარგებლოა ასეთი ტიპის ხელშეკრულებების წარმოება, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული კანონმდებლობა ეყრდნობა „შინაარსის აღმატებულებას ფორმაზე“ პრინციპს, რაც გულისხმობს რომ შემოსავლების სამსახურმა შესაძლოა უპირატესობა მიანიჭოს რეალობაში მომხდარს, წერილობით გაფორმებულ ხელშეკრულებასთან შედარებით და რეალობაში მომხდარის გათვალისწინებით შეცვალოს ტრანზაქციის კვალიფიკაცია.

ამ საინფორმაციო ბიულეტენში აღწერილი რისკები არის იმ რისკების მცირე ჩამონათვალი, რომელსაც ხშირად ვხვდებით პრაქტიკაში. თუმცა შესაძლებელია, რომ თქვენი კომპანია სხვა ტიპის რისკებს გასწევდეს საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციის დროს. შესაბამისად მნიშვნელოვანია თითოეული შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია დეტალურად გაანალიზდეს და შეფასდეს ის რისკები, რასაც შეიძლება გასწევდეს თქვენი კომპანია კონტროლირებული ოპერაციის დროს.

აქედან გამომდინარე, თვლით რომ თქვენი კომპანიის მიერ საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებთან მიმართებით გაწეული რისკები სწორია ? იცით რომელ რისკებს გასწევს თქვენი კომპანია?

PwC-ს საინფორმაციო ბიულეტენის მიზანია ზოგადი ცნობიერების ამაღლება ამ არასრულად შესწავლილ სფეროში. ამ მიზნით, ჩვენ მოგაწვდით ინფორმაციას სატრანსფერო ფასწარმოქმნის ქართული პრაქტიკის განვითარების უახლეს ტენდენციებთან დაკავშირებით და გაგიზიარებთ საკუთარ გამოცდილებას კონტროლირებულ ოპერაციებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე.

საინფორმაციო ბიულეტენი მნიშვნელოვნად დაეხმარება კომპანიებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან დარწმუნებული იმაში თუ რამდენად ექცევა მათი ეკონომიკური საქმიანობა სატრანსფერო ფასწარმოქმნის რეგულაციების ქვეშ, მიწოდებული ინფორმაცია მათ გაუადვილებს სატრანსფერო ფასწარმოქმნასთან დაკავშირებულ პოტენციური რისკების იდენტიფიცირებას. დაინტერესების შემთხვევაში, ჩვენ მზადყოფნას გამოვთქვამთ შეხვედრისთვის.



PwC საქართველოს გუნდი ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში სატრანსფერო ფასწარმოქმნის მიმართულებით. ის შედგება ადგილობრივი დირექტორისა და ორი მენეჯერისგან და გააჩნია საქმიანობის ფართო გამოცდილება როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. ჩვენი გუნდი საქართველოში არსებულ მულტინაციონალურ საწარმოებს სთავაზობს სატრანსფერო ფასწარმოქმნის სრულ საკონსულტაციო მომსახურებას და ასევე აწყობს შეხვედრებს კომპანიებთან, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან დარწმუნებულნი, ხვდება თუ არა მათი შიდა-ჯგუფური ოპერაციები ქართული სატრანსფერო ფასწარმოქმნის რეგულაციების არეალში.

დაინტერესების შემთხვევაში, PwC საქართველოს გუნდი მზადაა გიპასუხოთ შეკითხვებზე:

სერგი კობახიძე

დირექტორი

საგადასახადო მომსახურება

ტელ.: (+995 32) 250 80 50

Email: Sergi.kobakhidze@pwc.com

ბენ პიტერსენი

მენეჯერი

ტელ.: (+995 32) 250 80 50

Email: Ben.pietersen@pwc.com

ანასტასია ყიფიანი

მენეჯერი

ტელ.: (+995 32) 250 80 50

Email: Anastasia.kipiani@pwc.com

© 2019 PwC საქართველო. ყველა უფლება დაცულია. "PwC" ნიშნავს შპს ფრანსუთერპაუსკუპერს საქართველოს როგორც წევრ ფირმას, და ზოგ შემთხვევაში PwC-ის ქსელს, რომელშიც შემავალი თითოეული ფირმა არის ცალკე და დამოუკიდებელი იურიდიული პირი. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ www.pwc.com/structure

[Legal Disclaimer](#) | [Privacy Statement](#)

შპს ფრანსუთერპაუსკუპერს საქართველოს, ბიზნეს ცენტრი მეფე დავითი, მე-7 სართული, მ. ალექსიძის ქ. 12, თბილისი 0171, საქართველო